საქართველოს ექსპორტ-იმპორტის მდგომარეობა 2004-2013 წლებში

თამარ აბუაშვილი
სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი
t.abuashvili@gtu.ge
თეა ბიძინაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
teatekle@mail.ru

რეზიუმე

დღეს, მსოფლიოში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ცალკეული ქვეყნების ინტეგრაციის პროცესის ფონზე, განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება როგორც საგარეო სავაჭრო მოვლენებისა და პროცესების, უცხოური დაბანდებების დონის, დინამიკისა და განვითარების ტენდენციების დადგენას, ისე არსებული მდგომარეობის ანალიზს.

საქართველოსთვის, რომელიც დღეს თანდათან იკიდებს ფეხს მსოფლიო თანამეგობრობაში, თავის დასამკვიდრებლად მეტად მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, რომლის ერთ-ერთ უძველეს ფორმას საგარეო ვაჭრობა წარმოდგენს. საგარეო ვაჭრობაში ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმებია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა.

ექსპორტის განვითარებისთვის გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი ჩვენს ქვეყანაში შეიძლება პირველ ნაბიჯებად ჩაითვალოს, რომელიც უნდა გაფართოვდეს და ამ თვალსაზრისით მსოფლიო გამოცდილების საფუძვლიანი გაცნობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა პრაქტიკული მოქმედებისათვის.

საქართველოში 2000 წლამდე საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო. ამ მიმართულებით ნაკლები იყო პრაქტიკული გამოცდილებაც. უამრავი შეცდომა ფიქსირდებოდა მონაცემთა პირველად წყაროებში და დიდი იყო აღურიცხავი სავაჭრო ნაკადების წილი. ამიტომ საანალიზოდ შევარჩიეთ ბოლო ათი წლის (2004-2013 წლების) პერიოდი, რადგან მივიჩნიეთ, რომ ტენდენციის გამოსავლენად და რეალური სურათის ჩამოსაყალიბებლად ეს ყველაზე ღირებული პერიოდია.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, საგარეო ვაჭრობა, იმპორტი, ექსპორტი, საექსპორტო პროდუქცია.

შესავალი

დღეისათვის მთელ მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს და უფრო და უფრო ღრმავდება მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ცალკეული ქვეყნების ინტეგრაციის პროცესი. სწორედ ამ პროცესში ჩაბმა და სწრაფი ინტეგრაცია წარმოადგენს საქართველოს უმნიშვნელოვანეს მიზანს.

ასეთ დროს განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება როგორც საგარეო სავაჭრო მოვლენებისა და პროცესების, უცხოური დაბანდებების დონის, დინამიკისა და განვითარების ტენდენციების დადგენას, ისე არსებული მდგომარეობის ანალიზსა და შეფასებას.

საქართველო, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში, აქტიურად აწარმოებდა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ მან მემკვიდრეობით მიიღო დარღვეული ეკონომიკური სისტემა საბაზრო ურთიერთობების სრული გამოუცდელობით და ასეთივე საკანონმდებლო ბაზით, რამაც უამრავი პრობლემა შეუქმნა ქვეყანას.

საქართველოსთვის, რომელიც დღეს თანდათან იკიდებს ფეხს მსოფლიო თანამეგობრობაში, თავის დასამკვიდრებლად მეტად მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, რომლის ერთ-ერთ უძველეს ფორმას საგარეო ვაჭრობა წარმოდგენს.

სწორედ საგარეო ვაჭრობა უნდა გახდეს დღესდღეობით და უახლეს პერსპექტივაში საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელიც სამწუხაროდ, ჯერჯერ-

ობით არასასურველი ტენდენციით ვითარდება.

იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას თანამედროვე პერიოდში საქართველოს საგარეო ვაჭრობის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, აუცილებელია მოვახდინოთ საგარეო ვაჭრობის მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიერ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება დაიწყო 1995 წლიდან. სწორედ ამ პერიოდიდან მოგვეპოვება საბაჟო სამსახურების მიერ დეკლარირებული სტატისტიკური მონაცემები ექსპორტისა და იმპორტის შესახებ.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ფორმირების პროცესი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციის [1] შესაბამისად მიმდინარეობს. საგარეო ვაჭრობაში ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმებს მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა წარმოადგენს. ექსპორტში იგულისხმება როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა, ასევე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი, ხოლო იმპორტში – ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა და ექსპორტირებულ საქონლის რეიმპორტი [2].

2004 წლიდან 2013 წლამდე საქართველოში საერთოდ საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების და, კერძოდ, ექსპორტის დინამიკა მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. მკვეთრი ვარდნა შეინიშნება 2009 წელს, რაც საქართველოში აგვისტოს ომის შემდგომი ინერციითა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენით აიხსნება. მზარდი ტენდენცია ფიქსირდება იმპორტშიც 2004-2008 წლებში, რომლის მაჩვენებელმაც იგივე მოვლენების გამო 2009 წლისთვის საგრძნობლად დაიწია და 2008 წლის მაჩვენებელს, მხოლოდ 2011 წელს გადააჭარბა (იხ. ცხრილი 1).

ეს მონაცემები აშკარად ცხადყოფს, რომ 2004 წლიდან 2013 წლამდე პერიოდში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა საგრძნობლად – 8289.2 მლნ. აშშ დოლარით ანუ თითქმის 4,4-ჯერ გაიზარდა. აქვე ადვილი შესამჩნევია ექსპორტის ზრდის ტენდენციაც – ქვეყანის ექსპორტი ბოლო ათი წლის განმავლობაში თითქმის 4,5-ჯერ გაიზარდა (2004 წელს ექსპორტმა შეადგინა 647.0, ხოლო 2013 წლისთვის ეს მაჩვენებელი – 2909 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს), თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თითქმის ამდენივედ-ვეა (4,3-ჯერ) გაზრდილი იმპორტიც (2003 წელს იმპორტი 1847.9-ს შეადგენდა, ხოლო 2013 წლისთვის ეს რიცხვი 7874-ს შეადგენს).

მნიშვნელოვანია ის მაჩვენებლებიც, რომელიც ამ წლებში ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლების შედარებისას ჩანს, თუ 2004 წლისათვის საერთო ბრუნვიდან (2494.8) ექსპორტზე მოდიოდა 647.0, ხოლო იმპორტზე – 1847.9 მლნ. აშშ დოლარი, ანუ 1194 მლნ. დოლარით მეტი, შემდეგ წლებში ამ სხვაობის ზრდა ნათლად ჩანს, საბოლოო მონაცემებით კი მან 4965 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართ ველოს საგარეო ვაჭრობის ზრდა ძირითადად ექსპორტის გაზრდით ხდება.

რაც შეეხება უარყოფით საგარეო სავაჭრო ბალანსს, ის ჩვენი ქვეყნისთვის უკვე კანონზომიერებად იქცა. ზრდის ტენდენციით ხასიათ-

ცხრილი 1

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდის დინამიკა 2004-2013 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

დასახელება	წლები									
	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ექსპორტი	647,0	886,2	936	1232	1495	1134	1677	2189	2377	2909
იმპორტი	1847,9	2490,9	3675	5212	6301	4500	5257	7058	7842	7874
ბრუნვა	2494,8	3357,2	4611	6444	7797	5634	6935	9247	10220	10784
სალდო	-1200,9	-1624,7	-2739	-3980	-4806	-3367	-3580	-4869	-5465	-4965

დება საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი, რაც თავისი შინაარსით დადებით მოვლენას წარმოადგენს, თუმცა ამ მაჩვენებლების ციფრობრივი მონაცემები ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოს გაურთულდა პოლიტიკური მდგომარეობაც. რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად კიდევ უფრო საგრძნობი გახდა კრიზისის უარყოფითი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შემდეგ საქართველოს ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ომის შედეგად მიყენებული ზარალის დაფარვისა და საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შეუქცევადობის უზრუნველსაყოფად, მსოფლიო დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები ჩვენს ქვეყანას დაახლოებით 4.5 მილიარდი დოლარის დახმარებას დაჰპირდნენ. ამ დახმარებიდან დაახლოებით 2 მილიარდი სესხი იყო, ხოლო დანარჩენი თანხა გრანტებზე მოდიოდა. აღნიშნულმა კიდევ უფრო გაზარდა ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის მოცულობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური კრიზისის გავლენის შემცირების მიზნით საქართველოს მთავრობამ 2009 წლის დასაწყისშივე განახორციელა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, მნიშვნელოვანი თანხები მიმართა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე, რამაც კერძო ინვესტიციების შემცირების პირობებში ეკონომიკის გარკვეულწილად სტიმულირებაც გამოიწვია.

როდესაც საქართველოს ბოლო ათწლეულის საგარეო ვაჭრობას ვეხებით, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ, 2006 წელს რუსეთის მხრიდან ქართულ პროდუქციაზე დაწესებულ ემბარგოს, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზარალა ეს სექტორი ქვეყანაში. თუმცა, ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორის დაკარგვის გამო წარმოქმნილი სიძნელეების ფონზე, სწრაფად მოხდა ახალი სავაჭრო პატრნიორების მოძიება და არსებულ პარტნიორებთან ვაჭრობის მოცულობის მასშტაბების ზრდა.

მართალია, რუსეთის მხრიდან ქართული სასმელების, ციტრუსებისა და სხვა პროდუქციის აკრძალვის შედეგად, ქართულ ექსპორტს დიდი ზიანი მიადგა, მაგრამ ეს დანაკლისი მნიშვნელოვნად შეივსო ისეთი პროდუქციის ექსპორტის ზრდის ხარჯზე, როგორიცაა: აზოტოვანი სასუქები, სპილენძის ჯართი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, კაკალი და თხილი. 2006 წელს რუსეთში ღვინის ექსპორტის მოცულობა 1,4-ჯერ ნაკლები იყო 2000 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, ხოლო მინერალური წყლების ექსპორტის მოცულობა თითქმის 2001 წლის მაჩვენებლის დონემდე დაეცა. სულ რუსული ენბარგოს გამო საქართველოს საექსპორტო შემოსავლებს დააკლდა 50 მლნ. აშშ დოლარამდე ღვინის ექსპორტში, ხოლო 15 მილიონით (აშშ დოლარი) დაზარალდა მინერალური წყლების ექსპორტი.

ცხრილი 2

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

დასახელება	წლები									
	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
დსთ-ს ქვეყნები	327.7	408.0	936	1232	1495	1134	1677	2189	2377	2909
იმპორტი	1847,9	2490,9	3675	5212	6301	4500	5257	7058	7842	7874
ბრუნვა	2494,8	3357,2	4611	6444	7797	5634	6935	9247	10220	10784
სალდო	-1200,9	-1624,7	-2739	-3980	-4806	-3367	-3580	-4869	-5465	-4965

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ აღნიშნული წლების საგარეო ვაჭრობაში იმპორტი ექსპორტს სჭარბობს. საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს მიხედვით, დსთ-ს წევრ ქვეყნებთან შედარებით, საქართველო, ყირგიზეთის და ტაჯიკეთის შემდეგ ბოლო ადგილზეა. აღნიშნული მდგომარეობა ძირითადად გამოწვეულია საბანკო რესურსების საექსპორტო წარმოებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომობით, საბანკო სექტორში ექსიმბანკის სისტემის ახლად დანერგვით, რასაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აშშ-სა და სხვა წამყვანი სახელმწიფოების ეკონომიკის სისტემაში. თუმცა მხოლოდ ეს არ არის მიზეზი, რაც ჩვენს ქვეყანაში საექსპორტო პროდუქციის განვითარების დინამიკას აფერხებს. საგულისხმოა ისიც, რომ საგადასახადო ადმინისტრირების შემოწმების სიხშირე საექსპორტო წარმოების მაჩვენებელზე უარყოფითად აისახება. ასევე ექსპორტზე ნეგატიურად მოქმედებს დავების განხილვის არასრულყოფილება და სასამართლო სისტემა. ყოველივე ეს ერთად ბიზნესის განვითარებას უამრავ ბარიერს უქმნის, რასაც საბოლოოდ, საარბიტრაჟო სასამართლოს არარსებობაც ამძიმებს.

მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით, საქართველოში საექსპორტო წარმოების განვითარებას, ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პრობლემებიც აფერხებს. ქვეყანაში დაბალ დონეზეა ტრანსპორტის განვითარება, აგრეთვე არასრულყოფილია საექსპორტო დაზღვევის სისტემა, ტექნოლოგიებისა და ნედლეულის იმპორტირებისას საექსპორტო წარმოება იხდის დამატებით ღირებულების გადასახადს და ისედაც დეფიციტური საბრუნავი სახსრები საზღვარზე დიდი ხნით ჩერდება და სხვ.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის წამყვანი ადგილი მეზობელ ქვეყნებს უკავიათ, რაც გამოწვეულია არა მხოლოდ ძველი სავაჭრო ურთიერთობების ტრადიციით, არამედ იმითაც, რომ მათთან ვაჭრობა ნაკლებ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს და შედარებით მაღალი შემოსავლები მოაქვს, რისი გამოყენებაც ეკონომიკის შემდგომი განვითარების საშუალებას იძლევა. აქვე უნდა ითქვას, რომ მეზობელ ქვეყნებთან ექსპორტის განვითარებას გარკვეული უპირატესობები და წინაპირობები გააჩნია, კერძოდ, მრავალი წლების განმავლობაში ეს ქვეყნები წარმოადგენდნენ ქართული პროდუქციის გასაღების ბაზარს; ამ ქვეყნების ბაზარზე ქართული პროდუქცია მაღალი მოთხოვნილებით სარგებლობს, არა მარტო ხარისხის, არამედ ტერიტორიული სიახლოვის გამოც. განსაკუთრებული პოპულარულობით სარგებლობს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, როგორიცაა: ციტრუსი, ჩაი, ღვინო და ა.შ. [3. 143-144].



საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2005 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2004 წელს საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენდა დსთ-ს (ექსპორტი – 327.7 მლნ. აშშ დოლარი; იმპორტი – 657,2 მლნ. აშშ დოლარი) და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები (ექსპორტი – 342.9 მლნ. აშშ დოლარი; იმპორტი – 854.0 მლნ. აშშ დოლარი), რაც შეეხება ევროკავშირს, საექსპორტო ბრუნვამ აქ 111.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საიმპორტომ – 617.5 მლნ. აშშ დოლარი. დანარჩენ ქვეყნებში საგარეო ვაჭრობის მოცულობა სულ 1232 მლნ. აშშ დოლარი იყო (აქედან 272.0 ექსპორტი და 960.0 იმპორტი). 2013 წლის მონაცემებით კი, სავაჭრო ბრუნვამ 10784 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან 40% დსთ-ს ქვეყნებზე, 27% – ევროკავშირის ქვეყნებზე, ხოლო 33% მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული წლების განმავლობაში დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობათა მასშტაბები უფრო მაღალია ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით. რა თქმა უნდა, ეს განსხვავება გაცილებით მასშტაბური იქნებოდა რუსეთთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების პირობებში, რადგან საქართველოს ეკონომიკისათვის რუსეთის ბაზარი ყოველთვის იყო და იქნება საექსპორტო პოტენციალისათვის ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერ-

თობათა გაზრდას ევროკავშირთან, რადგან ეს ბაზარი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში, მასზე მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 20% მოდის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში და, კერძოდ, საქართველოში ნაკლებად იცნობენ ევროკავშირში მოქმედ სავაჭრო კანონმდებლობას, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის ამ ეკონომიკურ სივრცეში ჩვენი პროდუქციის ექსპორტირებისას. ამიტომ საჭიროა სათანადოდ სრულყოფილი და ოპერატიული ინფორმაციის მიწოდება და ევროკავშირის ბაზარზე კონკრეტული ქართული საექსპორტო პროდუქტების შედწევის შესახებ პრაქტიკული რეკომენდაციების გაწევა.

ევროკავშირთან ბაზრების ორმხრივ დონეზე გახსნას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველო აუცილებლად მოიგებს. იგი ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციას და შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულობას ცალკეულ ბაზრებზე, მით უმეტეს, რომ ქართული პროდუქციის იმპორტი არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. თვით საქართველოსთვის ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში ჩართვა მსოფლიო ბაზარზე სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის გაზრდის წინაპირობაა.

ასე რომ, დავის საგანს აღარ წარმოადგენს ის, რომ საქართველოსთვის განსაკუთრებული ეკონომიკური ინტერესის საგანია თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებთან. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2013 წელს საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ 2 879 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, აქედან ექსპორტი 608 104.3 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი 2 271 მლნ აშშ დოლარია. ამ სტატისტიკის მიხედვით, ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში თითქმის 4-ჯერ ნაკლებია იმპორტზე (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი – 183 მლნ აშშ დოლარი; სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი – 425 მლნ აშშ დოლარი). ეს მაჩვენებლები საგრძნობლად აღემატება

ცხრილი 3

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექსპორტ-იმპორტის მიხედვით 2004 წ. (ათასი აშშ დოლარი)

ქვეყნები	ექსპორტი	იმპორტი
აზერბაიჯანი	2532	156398
სომხეთი	54455	26229
უკრაინა	15613	142380
რუსეთი	104533	257771
თურქეთი	118607	202089
ბულგარეთი	15552	38875
აშშ	21230	110877
ყაზახეთი	639	21423
იტალია	11591	61624
კანადა	3690	4336

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკური კრებული საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2005

წინა წლის მაჩვენებლებს (სასოფლო-სამეურნეო – 73%-ით, სამრეწველო – 72%-ით), მაგრამ ამავდროულად ქვეყანაში იმპორტის ზრდის მაჩვენებლები მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გამოსაყენებლად სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი, კერძოდ, მოსაზიდია ინვესტიციები, გადასაიარაღებელია ადგილობრივი ფაბრიკა-ქარხნები და ა.შ.

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის ასევე საჭიროა ყურადღების გამახვილება საჭირო სავაჭრო ურთიერთობებზე იმ ქვეყნებთან, სადაც საქართველოს საგარეო ვაჭრობა ექსპორტის მხრივ, უფრო მაღალია, ვიდრე საიმპორტო. სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს 2004 წლისათვის ექსპორტ-იმპორტის მხრივ წარმოადგენდა: აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, რუსეთი, თურქეთი, ბულგარეთი, აშშ, ყაზახეთი, იტალია და კანადა. ამ დროისათვის აღნიშნულ ქვეყნებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები ასე გამოიყურებოდა:

რაც შეეხება 2013 წლის მონაცემებს, იგივე წყაროს მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორებს: თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთი, ჩინეთი, გერმანია, სომხეთი, აშშ, ბულგარეთი და რუმინეთი. ამ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების მაჩვენებლები ასე გამოიყურება:

ამ ორი მონაცემების შედარებით ნათელია, რომ ძირითად სავაჭრო პარტნიორი ბოლო ქვეყნების ათეულმა 2004-2013 განმავლობაში გარკვეული ცვლილება განიცადა. კერძოდ, ამ ათეულიდან ქვევით გადაიწია ყაზახეთმა, იტალიამ და კანადამ და მათი ადგილი დაიკავა ჩინეთმა, რუმინეთმა და გერმანიამ. ასევე ნათელია, რომ საქართველოს დღესდღეობით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა ექსპორტის მხრივ სომხეთთან და აზერბაიჯანთან აქვს, ხოლო ყველაზე დაბალანსებული ეკონომიკური ურთიერთობა ჩანს ბულგარეთთან, დანარჩენ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობა საქართველოს მხრიდან ძირითადად იმპორტის ხარჯზე ხორციელდება.

იგივე სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოდან ექსპორტის მხრივ, ყველაზე სავალალო მდგომარეობაა თურქეთთან მიმართებაში, საიდანაც ყველაზე მეტი რაოდენობის იმპორტი შემოდინება და მისი მაჩვენებელი შეადგენს 1346 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო რაც შეეხება ექსპორტს ამ ქვეყანაში იმპორტთან შედარებით, საგრძნობლად მცირეა და სულ რადაც 183 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

ცხრილი 4

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექსპორტ-იმპორტის მიხედვით 2013 წ. (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყნები	ექსპორტი	იმპორტი
თურქეთი	183	1346
აზერბაიჯანი	710	638
უკრაინა	193	602
რუსეთი	190	589
ჩინეთი	34	564
გერმანია	73	449
სომხეთი	316	182
აშშ	136	254
ბულგარეთი	151	200
რუმინეთი	5	323

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკური კრებული საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2013

ქვეყანაში წარმოებული საქონელი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი. ექსპორტირებადია საქონელი, რომელზეც არის მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე, არაექსპორტირებადი კი – საქონელი, რომელიც იწარმოება ადგილობრივი მოთხოვნის დასაკმაყო ფილებლად და რომლის საზღვარგარეთ გატანა შეუძლებელია ტრანსპორტირების მაღალი ხარჯების, კონკურენტუნარიანობის დაბალი დონისა და სხვა მიზეზების გამო.

2004 წელს საქართველოს ძირითად საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა: შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი; ყურძნის ნატურალური ღვინოები; ფეროშენადნობები; კაკალი; საფრენი აპარატები; სპილენძის მადნები და კონცენტრატები; სასუქები (მინერალური ან ქიმიური), აზოტოვანი; ოქრო (დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშა ვებული) ან ფხვნილის სახით; მინერალური წყლები და შაქარი. ხოლო რაც, შეეხება 2004 წლის საიმპორტო პროდუქციას, ესენი იყო: ნავთობი და ნავთობპროდუქტები; მსუბუქი ავტომობილები; სამკურნალო საშუალებები; ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები; შაქარი; ძრავები ტურბორეაქტიური და ტურბოხრახნიანი; საფრენი აპარატები; ფქვილი; ხორბალი; ელექტროენერგია.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით 2013 წელს წინა რამდენიმე წელთან შედარებით ისევ დაიწყო ზრდა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს პროდუქციის ექსპორტმა. ბოლო მონაცემებით 2012 წელთან შედარებით 2013 წელს რუსეთში 144.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი ექსპორტი განხორციელდა, სადაც ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტი 2013 წლის მაისიდან დაიწყო, ხოლო ციტრუსი ამ წლის ნოემბრიდან.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა დამოუკიდებელია იმპორტის სასაქონლო სტრუქტურისაგან.

მართალია, ექსპერტების აზრით, საქართველო იმ ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება, რომლებსაც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საექსპორტო პროდუქციის წარმოების უდიდესი პოტენციალი გააჩნია, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ქვეყნის საგარეო ვაჭრობა აშკარად საჭიროებს მეტ ძალისხმევას, რათა ექსპორტის წილმა მიაღწიოს ქვეყანაში შემოდინებული იმპორტის მაჩვენებელს. ამისათვის კი საჭიროა მთელი რიგი სამუშაოების გატარება:

- თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე საექსპორტო დარგების კომპლექსური გარდაქმნა;
- საექსპორტო პროდუქციის ხარისხის და მათი კონკურენტუნარია ნობის ამაღლება;
- ახალი საბაზრო სივრცის ეფექტიანი ათვისება;
- ახალი საექსპორტო დარგების ათვისებს და მათი ადეკვატური ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

დასკვნა

საგარეო ვაჭრობა, როგორც საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძალზედ აქტიური და სწრაფად მზარდი სეგმენტი ყოველთვის იყო და დღემდე რჩება სახელისუფლო ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული ინტერესის სფეროდ. პრაქტიკული ინტერესი კი თავისთავად იწვევს მოცემული სფეროს მეცნიერული შესწავლის, არსებული ტენდენციების გამოვლენის, უპირატესობებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენის, მათი გაუმჯობესების გზების ძიების, მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გამოტანისა და მდგომარეობის გამაჯანსაღებელი პრაგმატული ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობას.

საგარეო ვაჭრობის განვითარების მიზნით, საჭიროა ქვეყანამ თავისი ეკონომიკური პოლიტიკა საექსპორტო პროდუქციის წარმოების სტრატეგიაზე ააგოს. ამისათვის კი საჭიროა საწარმოებში გამოიყოს სპეციალისტთა ჯგუფები, რომლებიც დასაქმდებიან საექსპორტო პროდუქციის ბაზრის მოძიებისა და მიწოდების ორგანიზაციით, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ელექტრონული ვაჭრობის განვითარებაც. საჭიროა აგრეთვე, პროდუქციის შედეგად მიღებული მოგების იმ ნაწილის გათავისუფლება ბიუჯეტში შენატანებისაგან, რომელიც მიმართული იქნება წარმოების ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად, საშინაო ბაზარზე სურსათის დემპინგურ ფასებში რეალიზაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ-იორკი, 2000.

2. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2006. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2007.

3. ნანუაშვილი გ., ლაგვილავა თ., საქართველოს პერსპექტივა საერთაშორისო ვაჭრობაში. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №4, თბ., 2013.

SITUATION OF EXPORT-IMPORT OF GEORGIA IN 2004-2013

TAMAR ABUASHVILI
assist-prof. of GTU
t.abuashvili@gtu.ge
TEA BIDZINASHVILI
PhD student of GTU
teatekle@mail.ru

Summary

Today in the current world economic system the special role and importance is assigned to the events and processes in foreign trade, foreign investment levels, dynamics and development trends, as well as the analysis of the situation.

Georgia is gradually taking place in the international community. It„s developing the most important foreign economic relations, which is one of the oldest forms of foreign trade. The basic criteria for the country's foreign trade exports and imports is accounting for the country's economic cross.

Export development has taken some steps in our country. It can be considered as the first step, which should be expanded. Thorough acquaintance of the experience is the important prerequisite for practical action.

Trade statistics in Georgia until 2000 was still in the making. This direction had less practical experience. Many mistakes were in primary sources of data and there was a large share of the unregistered trade. Therefore, we have chosen for the analyzes of the last decade (2004-2013 years) period, as it is considered that trend, and it's the most valuable real image forming period.